

## ნატალია ლობაჩოვა

რუსული ენის, თეორიისა და ლიტერატურის ისტორიის დეპარტამენტის  
ხელმძღვანელი, ყირიმის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

### მოსწავლეების სოციოკულტურული კომპეტენციის განვითარება მულტილინგვურ და მულტიკულტურულ გარემოში

#### აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიის მიზანია მულტილინგვური განათლების თავისებურებების შესწავლა მულტიკულტურული რეგიონის კონტექსტში. მასში განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა ინტერკულტურული კომუნიკაციის ასპექტები და მოსწავლეთა სოციოკულტურული კომპეტენციის განვითარება.

**საკვანძო სიტყვები:** მულტილინგვიზმი, მულტიკულტურული, სოციოკულტურული, ინტერკულტურული კომუნიკაცია, სოციოკულტურული კომპეტენცია.

სოციოკულტურული სიტუაცია უკრაინაში და, განსაკუთრებით, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკაში, მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში გამოირჩევა სხვადასხვა ეთნიკური და სოციალური ჯგუფის ეროვნული თვითშეგნებისა და კულტურული იდენტურობის გააქტიურებით. აღნიშნული კი განაპირობებს ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებას, „პატარა სამშობლოს“ განცდის ჩამოყალიბებას და ენების, ტრადიციებისა და ღირებულებების, ანუ ეთნიკური უმცირესობების უნიკალური და თვითმყოფადი კულტურის აღორძინებას.

2001 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში ცხოვრობს 125 ეთნიკური ჯგუფი, მათ შორის ინდოევროპული, ალტაური, ურალის, აფრო-აზიური, ქართველური, ჩრდილო-კავკასიურ ენათა ოჯახის წარმომადგენლები. რადგანაც ამ ჯგუფების წარმომადგენლების არანაკლებ 5% მშობლიურ ენად მიიჩნევს თავიანთ ეთნიკურ ენას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები დგანან მნიშვნელოვანი სირთულის წინაშე - მულტიკულტურულ რეგიონში მშობლიურ ენაზე განათლების უზრუნველყოფა თითოეული მოსწავლისთვის.

სტატიის მიზანია მულტილინგვურ და მულტიკულტურულ გარემოში, კერძოდ, ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მოსწავლეთა სოციალურ-ეკონომიკური კომპეტენციის ფორმირების თავისებურებების შესწავლა.

მულტილინგვური განათლების საკითხები განხილულია სხვადასხვა ავტორის ნამუშევრებში: ე. ვერეშაგინი, გ. ზოგრაფი, ა. შირინი, ნ. ბულანკინა, ა. კულსარიევა, მ. ჰაქსელბერგი, ლ. ხარებოვა, და სხვა. ინტერკულტურული კომუნიკაციის საკითხები შესწავლილია ს. ტერმინასოვას, ა. შვეიცერის, ლ. ნიკოლსკის და სხვა ავტორების კვლევებში.

მულტილინგვიზმი (რუსულად: полилингвизм, многоязычие) ნიშნავს გარკვეულ ტერიტორიაზე (მაგ: სახელმწიფოში) ადამიანის (ან ადამიანთა ჯგუფის) მიერ სხვადასხვა ენის გამოყენებას კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით [6, პ. 303].

მულტილინგვიზმის ფენომენის შესწავლის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ უკრაინის განათლების სისტემა, რადგანაც სახელმწიფო, მშობლიური და უცხოური ენების სწავლება სავალდებულო სასკოლო პროგრამის ნაწილს წარმოადგენს. მულტილინგვიზმი განათლების სისტემას უყენებს მოთხოვნას, მოამზადოს ახალი თაობა, რომელიც მულტილინგვურ და

მულტიკულტურულ გარემოში ეფექტურ კომუნიკაციას შეძლებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა მულტიკულტურულ რეგიონს წარმოადგენს. ექვგარეშეა, რომ მულტილინგვიზმი წარმოადგენს ინდივიდის სოციალიზაციის საშუალებას, ამასთანავე, ხელს უწყობს მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას ყირიმში მცხოვრებთა შორის.

ა. შირინის მიხედვით, თანამედროვე მულტილინგვური განათლება ითვალისწინებს არამხოლოდ ლინგვისტური, არამედ გაცილებით ფართო სოციოკულტურული და ინტერკულტურული კომპეტენციისა და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის დროს საკითხების ავთენტური კონტექსტუალური ინტერპრეტირების უნარების განვითარებას [5].

მულტიკულტურული განათლების დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის წარმოდგენილი სამიზნე უცხოური ენის კულტურული ასპექტები და როგორ უკავშირდება ისინი სხვა კულტურების ელემენტებს.

საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე განათლების სისტემის მთავარ ამოცანას წარმოადგენს უნივერსალური და ეროვნული ღირებულებებისადმი პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბება.

უცხოური ენის შესწავლით მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ,

კომუნიკაცია დაამყარონ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან, ე.ი. სხვადასხვა ენის მატარებლებთან. უცხოური ენის სწავლების დროს მასწავლებელმა ყურადღებით უნდა შეარჩიოს სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, როგორც ლინგვისტური, ასევე სოციოკულტურული თვალსაზრისით.

სკოლაში მულტიკულტურული განათლება უკავშირდება სხვადასხვა ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ, ლინგვისტურ და დიდაქტიკურ, სოციალურ და საკომუნიკაციო, ეთნიკურ და სხვა ფაქტორებს. ჩვენს სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ სკოლაში სოციოკულტურული ასპექტების განხორციელებაზე.

სოციოკულტურული ასპექტი გულისხმობს შესასწავლი ენის ქვეყნის ეროვნული და კულტურული მახასიათებლებისა და ვერბალური ქცევების კულტურის შესახებ ინფორმაციას ფლობას. ეს ითვალისწინებს ლინგვისტურ ცოდნას (ძირითადი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ, ზეპირი კომუნიკაციის დროს ვერბალური და არავერბალური ქცევები; არაექვივალენტი ლექსიკური ერთეულები), მხარეთმცოდნეობა (უცხო ენის ქვეყნის ბუნება და კლიმატური პირობები, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური მახასიათებლები; კულტურული და ისტორიული

განვითარების ძირითადი ეტაპები); კულტურის ცოდნა (ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, ყოველდღიური ცხოვრება, ქვეყნის მოსახლეობის მახასიათებლები და თავისებურებები).

ლინგვისტური, სოციალური და ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებას ხელს უწყობს შემდეგი სოციოკულტურული ვექტორები:

- მასტიმულირებელი საკომუნიკაციო გარემოს შექმნა;
- ლინგვისტური და მხარეთმცოდნეობის აქტივობები;
- საგანმანათლებლო და კვლევითი პროექტების აქტივობები;
- ფილმების მიზანმიმართული და გონივრული გამოყენება.

რეკომენდებულია, რომ ზემოთ მოცემული აქტივობები გამოყენებული იყოს არა მხოლოდ ენის, არამედ სხვა ჰუმანიტარული საგნების გაკვეთილებზეც, ისევე, როგორც კლასგარეშე ღონისძიებების დროს.

*მასტიმულირებელი საკომუნიკაციო გარემოს შექმნა* გულისხმობს მასწავლებლის მიზანმიმართულ მცდელობებს, მოსწავლეები გაეცნონ და ურთიერთობა ჰქონდეთ სხვადასხვა ქვეყნის კულტურასთან, დაინტერესდნენ უცხოური კულტურის სხვადასხვა ელემენტით და გასხვავებული ფუნქციური სტილის მქონე ტექსტებით.

სოციოკულტურული ინფორმაციის სასწავლო მასალებში ინტეგრირების

სხვადასხვა გზა არსებობს: მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს კულტურული დატვირთვის ტექსტი ლინგვისტური, ლინგვოსტილისტური და ლინგვო-კულტურული ანალიზისთვის; ექსკურსიების ან ვირტუალური ტურების ორგანიზება მუზეუმებში, გამოფენებსა და სხვა ადგილებში, რომლებიც კავშირშია შესასწავლი ენის ეროვნულ კულტურასთან და სხვა. ასევე, სასარგებლო იქნება ე.წ. როლური თამაშები, სადაც წარმოდგენილი იქნება რეალური სოციალური კონტექსტი და საკომუნიკაციო სიტუაციები.

ტ. ნაიროვას, ს. პოპოვას და ტ. ველიჩკოს აზრით, ყველაზე ეფექტურია ადგილობრივი ტოპონიმის გამოყენება ლინგვისტურ და მხარეთმცოდნეობის საკითხებში. მულტიკულტურულ გარემოში ლინგვისტური და მხარეთმცოდნეობასთან დაკავშირებული აქტივობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ტოპონიმური ლექსიკა ასახავს ხალხის ისტორიისა და კულტურის განვითარების ძირითად ეტაპებს, ასევე ლინგვისტურ თავისებურებებს [4, გვ. 24].

ტ. ველიჩკოს აზრით, ტოპონიმური მასალების გამოყენება ენის სწავლების დროს ხელს უწყობს „პატარა“ სამშობლოსადმი სიყვარულისა და ინტერესის ჩამოყალიბებას, მოსწავლეების ლექსიკის გააქტიურებასა და გამდიდრებას და საზოგადოებრივ-კულტურული და ინტერკულტურული

კომპეტენციის ჩამოყალიბებას. იგი ასევე იძლევა ლინგვისტურ განათლებაში რეგიონული კომპონენტის შეტანის შესაძლებლობას [2, გვ. 11].

კულტურაზე ორიენტირებული ინფორმაციის ლინგვისტურ და მხარეთმცოდნეობის აქტივობებში და შესაბამის საგანმანათლებლო ლიტერატურაში ინტეგრირების სხვადასხვა გზა არსებობს:

### 1. ინფორმაციულად მდიდარი გარემოს გამოყენება:

მშობლიური ქალაქის/ქვეყნის ტოპონიმის, გეოგრაფიული ადგილების სწორი სახელები, მშობლიური ქალაქის მთავარი ქუჩა, მშობლიური ქალაქის ისტორია და ცნობილი ხალხი, ხელოვნების ნიმუშების ტოპონიმის.

აქტივობების ტიპები: მოსწავლეების მიერ საკუთარი ინდივიდუალური ნამუშევრის პრეზენტაცია ამა თუ იმ საკითხზე; კროსვორდების შევსება და/ან შექმნა; ექსკურსიები და შესაბამისი ესეების დაწერა, მაგ: ჩემი ქუჩა; დისკუსიების წარმართვა, ქვიზები, დიდაქტიკური თამაშები და სხვა.

### 2. ვიზიტები ადგილობრივ მუზეუმებში.

აქტივობების ტიპები: ექსკურსიებისა და ვირტუალური ტურების ორგანიზება; ადგილობრივი მუზეუმის თანამშრომლებთან, ისტორიკოსებთან და ფილოლოგებთან შეხვედრები; უფროსკლასელების მიერ უმცროსკლასე-

ლებისთვის ესეების დაწერა. ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია ნაწილობრივ მშობლიურ ენაზე და ნაწილობრივ - უცხოურ ენაზე.

**3. ისეთ ტექსტებზე მუშაობა, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას გეოგრაფიული ადგილებისა და სხვა საკუთარი სახელების შესახებ.**

აქტივობების ტიპები: სიტყვების ლექსიკურ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური სიტყვების ანალიზი; დიდაქტიკური თამაშები, მოკლე ესეები.

*საგანმანათლებლო და კვლევითი პროექტების აქტივობები* გულისხმობს პროექტებით სწავლების მეთოდს - მოსწავლეების თვითრეალიზებისა და მათი პიროვნული, ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების განვითარებისა და გამოყენების საშუალებით ახალი პროდუქტების შექმნას მასწავლებლის მხარდაჭერით.

პროექტების მეთოდის ეფექტურად გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მოამზადოს წინასწარ პროექტის საგანი, დავალება, ძირითადი აქტივობები, რომლებიც მოითხოვს არგუმენტების ძიებასა და ცოდნისა და უნარების კომბინირებულ გამოყენებას. მაგალითად, მეტყველების კულტურის პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, აწარმოონ კულტურების შედარებითი ანალიზი, კერძოდ, მშობლიური და არამშობლიური

ენებისა; დაამყარონ კავშირები ენას, აზროვნებასა და კულტურას შორის, შეისწავლონ მათი კულტურისა და ხელოვნების ნიმუშები.

*ფილმების მიზანმიმართული და გონივრული გამოყენება* გულისხმობს მასწავლებლის მიერ ისეთი ფილმების კატალოგის შექმნას, რომლებიც მოიცავს სოციოკულტურულ ინფორმაციას და რეკომენდებულია მოსწავლეებისთვის. ასეთი ფილმების ან ეპიზოდების ყურება და შემდგომ მათი განხილვა ერთ-ერთი ეფექტური სტრატეგიაა. გაკვეთილის მიზნიდან გამომდინარე, ფილმის ჩვენება შეიძლება მშობლიურ ან უცხოურ ენაზე.

აქტივობის ტიპები: განხილვები, ესეები, წერილობითი განხილვები.

ნ. ბულანკინას მოსაზრებით, ეფექტური კულტურული თვითგამორკვევის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა არის ენისა და მეტყველების გააქტიურება შესაბამისი ენის წარმომადგენლებთან ინტერაქციის საშუალებით, ანუ რეალობის გაგება-გააზრების უნივერსალური ფორმა, რომელიც აორგანიზებს განვითარების პროცესში მყოფ ან უკვე არსებულ წარმოდგენებს, აღქმას, კონცეპტებს, იმიჯებს და სხვა რელევანტურ სემანტიკურ ერთეულებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. რადგანაც ენა ასახავს ეროვნულ / გლობალურ ღირებულებებსა და კულტურას, ადამიანები არსებობენ არა

მხოლოდ მულტიკულტურულ, არამედ მულტილინგვურ გარემოში.

2. მულტილინგვიზმის მნიშვნელობა, არსებული სოციოკულტურული სიტუაციიდან გამომდინარე, ხელს უწყობს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფსა და ეროვნებას შორის ეფექტურ კომუნიკაციას, მშობლიური ენების გამდიდრებასა და საზოგადოების საერთო კულტურის განვითარებას.

3. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეების მხრიდან კულტურული განსხვავებებისადმი პატივისცემას, რაც თავის მხრივ საჭიროებს განსხვავებული კულტურების ცნობასა და მიმღებლობას. ამის მიღწევა

შესაძლებელია მოსწავლეთა სხვადასხვა კულტურულ გამოცდილებასა და ინტერკულტურულ კომუნიკაციაში მონაწილეობით.

ამდენად, მულტიკულტურულ რეგიონში სწავლების პროცესში, სოციოკულტურული ასპექტის გამოყენებით, მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეების ლინგვისტურ კომპეტენციას და ინტერკულტურულ უნარებს. ასევე, მოსწავლეებს უნდა მიეცეთ კულტურათა შორის კომუნიკაციის გამოცდილება.

### წყაროები:

1. Bulankina N. Ye. Language. Culture. Education. Experience of philosophical comprehension/ Bulankina N. Ye. // Siberian teacher. – 2010. - №6(73). – p. 12- 18.
2. Velichko T.N. Formation of learners' socio-cultural competence at the classes of the Russian language / Velichko T.N. // Russian language in school. – 2011. - №4. – p. 5 -11.
3. Yegoshina T.S. Socio-cultural aspect in foreign language learning / Yegoshina T.S. // [on-line resource]: <http://festival.1september.ru/articles/529327/>
4. Mayorova T.M. Onomastics in linguistics and local history studies / T.M. Mayorova // Russian language in school. – 2000. - №3. – p. 23 -28.
5. Shirin A.G. Pedagogical aspects of bilingualism: development of new scientific school / Shirin A.G. // [on-line resource]: <http://edu.novgorod.ru>
6. Linguistics. New Collegiate Dictionary / [V.N. Yartseva]. – 2nd edition. – Moscow: Great Russian Encyclopedia, 2000. – 688 p.